



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ“არმია“ - თბ „ხვამლი“		
გუნდი	თბ „ხვამლი“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	17/12/2021	მატჩის ადგილი	ავჭალის სარგბო ბაზა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	მოთამაშე	დაბადების თარიღი	8/16/2001
სახელი, გვარი	ჰამლეტ გოგია		
მომჩივანი	მატჩის მეთვალყურე მარიამ გოგუაძე	საჩივარი	✓ მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია, დანართი #1 9.28 მოთამაშემ არ უნდა შეურაცხყოს სიტყვიერად მატჩის ოფიციალური პირები		✓ წითელი ბარათი საითინგი სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	21/12/2021	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი თბილისი, ჭ. ამირეჯიბის #6
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, აკაკი კერესელიძე, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	✓ კი არა	სხვა დამსწრეები : ✓ კი არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	არა	აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მეთვალყურის მარიამ გოგუაძის საითინგი 18/12/2021 მატჩის ვიდეომასალა		



დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მეთვალყურის მარიამ გოგუაძის საითინგი 18/12/2021.
2. მატჩის ვიდეომასალა.
3. მატჩის მსაჯის პაპუნა ჭიქაბერიძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი.
4. მატჩის კიდის მსაჯის საბა მახარაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი.
5. მატჩის მეთვალყურის მარიამ გოგუაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი.

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა.

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

სადისციპლინო კომისიის სხდომაზე თბ „ხვამლი“-ს მორაგბე ჰამლეტ გოგია არ დაეთანხმა მატჩის მეთვალყურის მარიამ გოგუაძის საითინგში აღნიშნულ ფაქტებს, კერძოდ მან უარყო როგორც მსაჯების გადაწყვეტილებებზე აპელირება, (გოგიას თქმით მისი რეაქცია განპირობებული იყო დამაბული თამაშით და რაც გამოწვეული იყო საკუთარი გუნდის ცუდი თამაშით) ასევე მსაჯების, როგორც სიტყვიერი შეურაცხყოფა, ასევე მსაჯების გადაწყვეტილების სიტყვიერი შეურაცხყოფა. ჰამლეტ გოგიამ განმარტა, რომ მას შემდეგ რაც მსაჯმა გაასინბინა, ის გაბრაზებული იყო თავის თავზე და თანაგუნდელებზე და შეურაცხმყოფელი სიტყვები (ამის დედა ვატირე) არ იყო მსაჯების მიმართ ნათქვამი.

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 2021 წლის 17 დეკემბერს გაიმართა I ლიგის XII ტურის მატჩი თბ“არმია“-სა და თბ „ხვამლს“ შორის. მატჩი მიმდინარეობდა დამაბულად, გარდამავალი უპირატესობით და დამთავრდა ანგარიშით 16:15 თბ „არმია“-ს სასარგებლოდ.
2. 2021 წლის 18 დეკემბერს ზემოაღნიშნული მატჩის მეთვალყურემ, მარიამ გოგუაძემ, წერილობით მიმართა(საითინგი 18/12/2021) სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს. მარიამ გოგუაძე საითინგში აღნიშნავს (ციტირება) : „**მეორე ტაიმის მიწურულს 66-67 წუთზე . ხვამლის მოთამაშე ჰამლეტ გოგია მოედნიდან გაძევებული იქნა ყვითლით .რის შემდეგაც ამ მოთამაშემ მსაჯის მიმართ დაიწყო გინება .**“ ამის პატრონი მოვ...! “ და “ამის გადაწყვეტილება მოვ...!”. ამ კონკრეტულ მოთამაშესთან მივედი თხოვნით რომ გაჩუმებულიყო და თვისი ადგილი ყვითლით გაძევებული მოთამაშის სკამზე დაეკავებინა თუმცა ჩემ თვალწინაც შეაგინა თავიდან მთავარ მსაჯს და სკამისკენ დასაჯდომად წავიდა“
3. მატჩის კიდის მსაჯმა საბა მახარაძემ, სატელეფონო გამოკითხვისას აღნიშნა, რომ თბ“ხვამლი“-ს მოთამაშე ჰამლეტ გოგია ყვითელი ბარათის მიღების შემდეგ იქცეოდა აგრესიულად, გააპროტესტა მსაჯების გადაწყვეტილება, ხოლო თამაშის დამთავრების შემდეგ მივიდა მასთან და მსაჯთან პაპუნა ჭიქაბერიძესთან და უპატივცემლობა გამოხატა მათ მიმართ. კერძოდ გოგია ემოციურად, ხმამაღალი ტონით ცდილობდა გაერჩია მსაჯების



გადაწყვეტილებები. მატჩის კიდის მსაჯის, საბა მახარაძის განმარტებით , თბ „ხვამლი“-ს მორაგბე ჰამლეტ გოგიას მხრიდან მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი მან ვერ დააფიქსირა და ამის შესახებ მატჩის მეთვალყურისგან (მარიამ გოგუაძე) შეიტყო.

4. მატჩის მსაჯმა პაპუნა ჭიქაბერიძემ, სატელეფონო საუბრისას აღნიშნა, რომ თბ“ხვამლი“-ს მოთამაშემ ჰამლეტ გოგიამ, გააპროტესტა მისი ყვითელი ბარათით გაძევება, ხოლო თამაშის დამთავრების შემდეგ მივიდა მასთან და კიდის მსაჯთან (საბა მახარაძე) და უპატივცემლობა გამოხატა მათ მიმართ. მატჩის მსაჯის, პაპუნა ჭიქაბერიძის განმარტებით , თბ „ხვამლი“-ს მორაგბე ჰამლეტ გოგიას მხრიდან მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი მან ვერ დააფიქსირა და ამის შესახებ მატჩის მეთვალყურისგან (მარიამ გოგუაძე) შეიტყო.
5. მატჩის მეთვალყურის, მარიამ გოგუაძის, დამატებითი სატელეფონო გამოკითხვისას - სადისციპლინო კომისიის წევრების კითხვაზე, მან კიდევ ერთხელ დაადასტურა თბ „ხვამლი“-ს მოთამაშის ჰამლეტ გოგიას მხრიდან მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი და განმარტა, რომ ის იმყოფებოდა ჰამლეტ გოგიასთან პირისპირ და მკაფიოდ გაიგონა მისი მხრიდან საითინგში აღნიშნული, მსაჯების შეურაცხმყოფელი სიტყვები.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	✓ მიღებულია	უარყოფილია	სხვა (აღწერეთ)

სადისციპლინო კომისიამ:

1. იმსჯელა დამრღვევი მოთამაშის განცხადების, მატჩის ოფიციალური პირების მიერ მოწოდებული წერილობითი და ზეპირი ინფორმაციის შესახებ, იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 11,2; 11,3; 12.2 პუნქტების და სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 1-ის 9.28 პუნქტით და დანართი #2-ით (დარღვევის სიმძიმის შეფასება).
2. გაითვალისწინა დამრღვევი მოთამაშის სადისციპლინო ისტორია, კერძოდ ჰამლეტ გოგიას, სადისციპლინო კომისიის 30/09/2021 გადაწყვეტილებით მიცემული ჰქონდა გაფრთხილება მატჩის ოფიციალურ პირთან კამათის გამო.

და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება :

დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 2-ის მიხედვით
<p>ზედა ზღვარი * კვირა. შუა ზღვარი 12(თორმეტი) კვირა ქვედა ზღვარი კვირა</p> <p><small>*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.</small></p>
ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:
არა



შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო;	დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;
არა	არა
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდლობა;	ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში;
არა	არა
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;	ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება
არა	არა

დაკლებული კვირების რ-ბა: არა

შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია;
მოთამაშეს მიცემული ჰქონდა გაფრთხილება
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება;
მოთამაშის გუნდი გაფრთხილებული იყო მსაჯის მიერ ხშირი ჯარიმების გამო
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება;

დამატებითი კვირების რ-ბა: არა



სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	12 (თორმეტი) კვირა	წითელი ზარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	22/12/2021	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	სრკ-ს მიმდინარე გაფიკით უცნობია.	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება სათამაშო არეში რაიმე სახის აქტივობა, სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის მატჩებზე.	

სრკ-ს წევრ სუბიექტზე დაკისრებული ფულადი ჯარიმადა ჯარიმის გადახდის ვადა	
U16-U18 და მოყვარულთა დონის გუნდებისათვის ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში - დასაკლები საცხრილო ქულების რაოდენობა	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	21/12/2021
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.